



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის
პროგრამული დანართი

შესავალი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და პროგრამული ბიუჯეტის დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად (ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N 385 ბრძანებაში). საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო ხდება 2019 წლიდან, 2022 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მეთოდოლოგიით განსაზღვრული ძირითადი სიახლეების შემუშავება ხდება 2022 წლის ბიუჯეტის პროექტისათვის. შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა და ახლებურად არის წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის ფორმატი, შეიცვალა პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის დანართიც სწორედ ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული.

პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მოცემულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოადგენილია მომავალ 4 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2022 წელს. შემდგომ წლებში, ისევე როგორც პროგრამების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგებიც და შედეგების შეფასების ინდიკატორები კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და წარმოდგენილი იქნება დასაგეგმ და დასაგეგმის შემდგომ 3 წელზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება და შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2020 წლის ფაქტი | | | 2021 წლის ბიუჯეტი | | | 2022 წლის პროექტი | | | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|-----------------|--|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 02000 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 15 998,5 | 9 349,3 | 6 649,2 | 15 806,8 | 7 662,9 | 8 143,9 | 6 478,4 | 0,0 | 6 478,4 | 8 622,7 | 9 726,6 | 10 324,2 |
| 0201 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 11 691,1 | 8 430,7 | 3 260,5 | 10 402,8 | 6 265,3 | 4 137,5 | 2 625,1 | 0,0 | 2 625,1 | 3 527,7 | 4 191,6 | 4 400,0 |
| 020101 | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | 11 561,3 | 8 394,9 | 3 166,4 | 10 191,2 | 6 264,4 | 3 926,8 | 2 525,1 | 0,0 | 2 525,1 | 3 127,7 | 3 791,6 | 4 000,0 |
| 020102 | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | 94,1 | 0,0 | 94,1 | 125,0 | 0,0 | 125,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 | 400,0 | 400,0 | 400,0 |
| 020104 | ხიდების და ბოგირების მშენებლობა | 35,8 | 35,8 | 0,0 | 86,7 | 0,9 | 85,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | | | | |
|----------|--|---------|-------|---------|---------|-------|---------|---------|-----|---------|---------|---------|---------|
| 020202 | წყლის სისტემების განვითარება | 1 274,0 | 242,9 | 1 031,1 | 2 005,4 | 669,8 | 1 335,6 | 950,0 | 0,0 | 950,0 | 1 900,0 | 2 100,0 | 2 117,7 |
| 02020201 | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია | 262,3 | 119,9 | 142,4 | 370,2 | 16,8 | 353,5 | 450,0 | 0,0 | 450,0 | 1 000,0 | 1 100,0 | 1 017,7 |
| 02020202 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 1 011,7 | 123,0 | 888,7 | 1 635,2 | 653,0 | 982,2 | 500,0 | 0,0 | 500,0 | 900,0 | 1 000,0 | 1 100,0 |
| 020203 | გარე განათება | 663,6 | 0,0 | 663,6 | 682,9 | 0,0 | 682,9 | 850,0 | 0,0 | 850,0 | 1 300,0 | 1 300,0 | 1 550,0 |
| 020301 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 387,1 | 0,0 | 387,1 | 600,0 | 0,0 | 600,0 | 700,0 | 0,0 | 700,0 | 1 000,0 | 1 000,0 | 1 200,0 |
| 020302 | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა | 276,5 | 0,0 | 276,5 | 82,9 | 0,0 | 82,9 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 300,0 | 300,0 | 350,0 |
| 0204 | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია | 18,7 | 11,6 | 7,2 | 89,3 | 10,1 | 79,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 0205 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 141,6 | 0,0 | 141,6 | 450,6 | 0,0 | 450,6 | 350,0 | 0,0 | 350,0 | 420,0 | 470,0 | 500,0 |
| 0206 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 811,8 | 0,0 | 811,8 | 1 143,2 | 0,0 | 1 143,2 | 1 303,3 | 0,0 | 1 303,3 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| 020601 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი | 59,6 | 0,0 | 59,6 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 020602 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 2,1 | 0,0 | 2,1 | 40,0 | 0,0 | 40,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | | | | |
|--------|--|---------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-----|-------|---------|---------|---------|
| 020603 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 88,5 | 0,0 | 88,5 | 285,4 | 0,0 | 285,4 | 350,0 | 0,0 | 350,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| 020604 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება | 661,6 | 0,0 | 661,6 | 817,8 | 0,0 | 817,8 | 953,3 | 0,0 | 953,3 | 1 100,0 | 1 300,0 | 1 400,0 |
| 0207 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1 152,0 | 660,2 | 491,8 | 759,7 | 717,7 | 42,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 0208 | საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა | 150,6 | 4,0 | 146,6 | 73,0 | 0,0 | 73,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 | 260,0 | 290,0 | 240,0 |
| 0209 | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 95,0 | 0,0 | 95,0 | 199,8 | 0,0 | 199,8 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 320,0 | 360,0 | 381,5 |
| 0210 | მოქალაქეთა ჩართულობა | 0,00 | 0,000 | 0,000 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 395,0 | 515,0 | 635,0 |

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მდინარეებზე ხიდ-ბოგირების მოწყობა, რეაბილიტაცია. ასევე საჭიროების შემთხვევაში გზის თოვლის საფარისგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|---|------------------------------------|----------------------------------|---|
| | 02 01 | | 2625,1 | 10388,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | |

| | |
|-----------------------------------|---|
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ასევე საჭიროების შემთხვევაში თოვლის საფარისგან, მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთება, ორმოული შეკეთება, შუქნიშნების შეკეთება და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით.</p> <p>პროგრამის მიზანია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების გამარტივება, გამტარიანობის ზრდა.</p> |
|-----------------------------------|---|

| | |
|---------------------------|---|
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.</p> |
|---------------------------|---|

| | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|--|
| <p>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი</p> | 1 | ახალი და რეაბილიტირებული გზების სიგრძე (კმ) | 23 | 21 | 8.7% | ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა. |
| | 2 | სიჩქარის შემზღვეველი ბარიერის რაოდენობა | 20 | 18 | 10% | ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა. |
| | 3 | კმაყოფილი მოსახლეობა | 3800 | 3600 | 5.2% | ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა. |

| | | | | |
|---------------------------------------|---|--|---|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> | <p>გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> | <p>2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში</p> |
| | <p>02 01 01</p> | | <p>2525,1</p> | <p>9338,2</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</p> | | | |

| | | | | | | |
|---|---|---------------------------|-----------------------------|-------------------------------|---|-------------------|
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მალაკში, მე-8 და მე-9 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები; ასევე სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის, ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; • სოფელ ჩუნეშში ტამართან მისასვლელი, სოფლების რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზის, სოფელ ფარცხანაყანეში, ამაღლების უბანში N60 ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. • ქ.წყალტუბოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. • ქ.წყალტუბოში 9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. • ქ.წყალტუბოსა და სოფელ ბანოჯის (სათაფლიას გადასახვევი) გზის რეაბილიტაცია. <p>ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა.</p> <p>გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>მიზანია: გზების კაპიტალური შეკეთება.</p> | | | | | |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>კაპიტალურად შეკეთებული გზები, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს და ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული.</p> | | | | | |
| <p>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი</p> | <p>#</p> | <p>ინდიკატორის აღწერა</p> | <p>საბაზისო მაჩვენებელი</p> | <p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p> | <p>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</p> | <p>განმარტება</p> |
| <p>1</p> | <p>რეაბილიტირებული გზების სიგრძე (კმ)</p> | <p>23</p> | <p>21</p> | <p>8,7%</p> | <p>ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა.</p> | <p>2</p> |
| <p>2</p> | <p>კმაყოფილი მოსახლეობა</p> | <p>3800</p> | <p>3600</p> | <p>5.2%</p> | <p>ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა.</p> | |

| | | | | |
|---------------------------------------|---|---|---|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> | <p>გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> | <p>2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>02 01 02</p> | <p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</p> | <p>100,0</p> | <p>1050,0</p> |
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული</p> | | | |

| | | | | | | |
|--|---|--|----------------------|------------------------|-----------------------------------|------------|
| | ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | სტიქიისგან დაზიანებული გაწმენდილი გზების სიგრძე (კმ) | 55 | 50 | 10% | |
| | | | | | | |

წყლის სისტემების განვითარება

| | | | | | | |
|--|--|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემების განვითარება | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 | | | | 950,0 | 5717,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობისათვის უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგების მომსახურების უზრუნველყოფა. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | რეაბილიტირებული წყლის სისტემების რაოდენობა | 8 | 4 | 10% | |
| | 2 | რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების რაოდენობა | 8 | 6 | 25% | |

| | | | | | | | |
|--|---|--|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 01 | | | | | 450,0 | 3017,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სანიაღვრე ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემატურ ნაწილს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც მიმდინარე საექსპლოატაციო, ასევე, სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოები.კერძოდ: ქალაქ წყალტუბოში ევდოშვილის, კეცხოველის, ლერმონტოვის, ავალიანის, გოგებაშვილის, 9 არილის (დევილთა დასახლება) ქუჩებზე, ასევე ლერმონტოვის ქუჩის მე-3 შესახვევში და ლერმონტოვისა და კოსტავას ქუჩის დამაკავშირებელ მონაკვეთზე,დედა-ენის ქუჩის მე-2 ჩიხში,რუსთაველის ქუჩაზე და სოფელ ოფშკვითში (ინანეიშვილებისა და მარგველაშვილების უბნები) არსებული არხების რეაბილიტაციისა და ახალი არხების მოწყობის სამუშაოები. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებით გაზრდილია ნალექების გამტარუნარიანობა. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | კაპიტალურად მოწყობილი სანიაღვრე სისტემის რაოდენობა | 8 | 6 | 25 | | |

| | | | | | | | |
|-----------------------------|--|----------------------------|--|--|--|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 02 | | | | | 500,0 | 2700,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური; მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური) | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. სასმელი წყლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. კერძოდ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში, სოფ ყუმისთავში და სოფ.ცხუნკურში, სოფ.რიონში, სასმელი წყლის ქსელის და სოფელ გუმბრაში გუმბრინის დასახლებაში #12 და #13 ბინების საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. | | | | | | |
| მოსალოდნელი | მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; | | | | | | |

| შედეგი | წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად; | | | | | |
|--|--|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|------------|
| | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | რეზილიტირებული წყალსადენის (მ.შ. სათავე ნაგებობა) სიგრძე (კმ) | 15 | 13 | 13,4% | |
| | 3 | კმაყოფილი მოსახლეობა | 5500 | 5000 | 9,1% | |

გარე განათება

| პროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში | | |
|--|--|--|----------------------------------|---|-----------------------------------|------------|
| | 02 03 | | 850,0 | 3000,0 | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. <p>პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებით უსაფრთხო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისათვის.</p> | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის გადაადგილებისათვის შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გარემო. | | | | | |
| | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | გარე განათების წერტილების რაოდენობა | 350 | 320 | 8,6% | |
| | 2 | კმაყოფილი მოსახლეობა (მათ შორის ქალი,კაცი) | 3000 (1650 კაცი, 1350 ქალი) | 2500 (1070 ქალი, 1430 კაცი) | 16,6% | |

| | | | | | | | |
|--|--|------------------------------------|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------------|----------------------------------|--|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 03 01 | | | | | 700,0 | 2100,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური; მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური) | | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერჯის ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. შემცირებულია ელექტროენერჯის ხარჯი. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | კმაყოფილი მოსახლეობა (ქალი,კაცი) | 3000 (1650 კაცი, 1350 ქალი) | 2500 (1070 ქალი, 1430 კაცი) | 16,6% | | |

| | | | | | | | |
|--|--|--|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 03 02 | | | | | 150,0 | 600,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში.</p> <p>პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში ჭიშვილების უბანში, სოფელ რიონში, ფარცხანაყანევი რეხისტყის უბანში, მიდორის უბანში (ხანთაძეები) მაღაზიის უბანში, გოდუაძეების და სამღებროს უბანში, სოფელ კუმისთავში, სოფელ საყულაში, სოფელ გვიშტიში, სოფელ წყალტუბოში მეორე უბანი (ქვარდნალას უბანი) გარე განათების მოწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p> | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | გარე განათების წერტილების რაოდენობა | 350 | 320 | 8,6% | | |
| | 2 | კმაყოფილი მოსახლეობა (მათ შორის ქალი,კაცი) | 3000 (1650 კაცი, 1350 ქალი) | 2500 (1070 ქალი, 1430 კაცი) | 16,6% | | |

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

| | | | | | | |
|--|--|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 05 | | | | 350,0 | 1050,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამწვანებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა | 14 | 10 | 28% | |

კეთილმოწყობის ღონისძიებები

| | | | | | | |
|--|---|----------------------------|---------------------------|------------------------|-----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | კეთილმოწყობის ღონისძიებები | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 06 | | | | 1303,3 | 3429,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება; <p>პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით;</p> | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქალაქის ტურისტული მიმზიდველობა და ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესება. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | პროექტების რაოდენობა | 4 | 3 | 25% | |
| 2 | კმაყოფილი მოსახლეობა | 3000(ქალი1350,კაცი 1650) | 2500(1430 კაცი, 1070ქალი) | 16,6% | | |

| | | | | | | | |
|--|--|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 06 03 | | | | | 350,0 | 1350,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.წყალტუბოში დედა-ენის, ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, თამარ მეფის, და გ.ტაბიძის ქუჩებზედა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში, ქვიტირში, ცხუნკურსა და გეგუთში სკვერების, გაზონების და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა. ქალაქსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასასვენებელი საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, მათი ადაპტირება ქალებისა და მამაკაცების, ბავშვების, შშმ პირების საჭიროებებზე. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 2 | მოწყობილი სკვერებისა და ატრაქციონების რაოდენობა | 9 | 8 | 11% | | |

| | | | | | | | |
|--|--|--|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება-განაშენიანება | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 06 04 | | | | | 953,3 | 2859,9 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)ი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება | | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია; | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა | 150 | 140 | 7 | | |

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა

| | | | | | | | |
|--|--|--|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 08 | | | | | 100,0 | 660,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროექტების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | შექმნილი პროექტების რაოდენობა | 60 | 55 | 8,3 | | |

სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა

| | | | | | | | |
|--|---|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 09 | | | | | 150,0 | 900,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შექმნა. პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | ზედამხედველობა განხორციელებული პროექტების რაოდენობა | 30 | 26 | 13,3 | | |

| | | | | | | | |
|--|--|---|---------------------------------|---------------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მოქალაქეთა ჩართულობა | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 10 | | | | | 150,0 | 1065,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური) | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები. ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქალაქის იერსახის გაუმჯობესება | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | კმაყოფილი მოსახლეობა (მათ შორის ქალი, კაცი) | 4900 (ქალი - 2500; კაცი - 2400) | 4900 (ქალი - 2600; კაცი - 2300) | 0 | | |

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში გარემოს დაცვის მიზნით დაფინანსდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქსა და სოფლის ცენტრებში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა – დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლებისაგან იზოლირება.

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2020 წლის ფაქტი | | | 2021 წლის ბიუჯეტი | | | 2022 წლის პროექტი | | | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|-----------------|------------------------------|-----------------|--------------------|----------------------|-------------------|--------------------|----------------------|-------------------|--------------------|----------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 03000 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1 066,2 | 56,1 | 1 010,0 | 1 537,1 | 20,9 | 1 516,3 | 1 529,8 | 0,0 | 1 529,8 | 1 570,0 | 1 730,0 | 2 040,0 |

| | | | | | | | | | | | | | |
|------|--|--------|-------|--------|---------|------|---------|---------|-----|---------|---------|---------|---------|
| 0301 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 77,0 | 0,0 | 77,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 0302 | უპატრონო ცხოველების ოპერირება | 21,700 | 0,000 | 21,700 | 53,3 | 0,0 | 53,3 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 70,0 | 80,0 | 90,0 |
| 0303 | დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა | 911,4 | 0,0 | 911,4 | 1 050,9 | 0,0 | 1 050,9 | 1 329,8 | 0,0 | 1 329,8 | 1 300,0 | 1 400,0 | 1 600,0 |
| 0304 | საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ | 56,1 | 56,1 | 0,0 | 349,0 | 20,9 | 328,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 0305 | ნაგავემკრები კონტეინერი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 84,0 | 0,0 | 84,0 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 200,0 | 250,0 | 350,0 |

| | | | | | | | | |
|--|--|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 03 02 | | | | | | 50.0 | 240.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური) | | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეტესად უსაფრთხო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-უპატრონობა და პოპულაციის რეგულირება.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა უპატრონო ცხოველებისგან.</p> | | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება. | | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | | |
| | 1 | დაჭერილი მაწანწალა ძაღლების რაოდენობა | 355 | 450 | | | | |

| | | | | | | | |
|--|---|---|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 03 03 | | | | | 1329,8 | 4300,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება | | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.</p> <p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.</p> | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <ul style="list-style-type: none"> სანიეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა. <p>ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულობა, გაუმჯობესებულობა სანიტარული პირობები.</p> | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება | |
| | 1 | გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა) | 9000 | 9000 | 0% | | |
| | 2 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიის % | 91% | 91% | 0% | | |

ნაგავშემკრები კონტეინერები

| | | | | | | | |
|--|---|-----------------------------------|----------------------|------------------------|-----------------------------------|----------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ნაგავშემკრები კონტეინერები | | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2022-2025 წლებზე დაფინანსება ათას ლარში |
| | 03 05 | | | | | 150.0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ზედამხედველობის სამსახური) | | | | | | |
